პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 2 აგვისტო, 1942 წ. № 181 (6497). ფასი 15 კაპ.

ტრანსპორტის ახალი წარმატებებისათვის, ამხანაგო რკინიგზელებო!

შვიდი წელი გავიდა კრემლში ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ რკინიგზების მუშაკთა მიღების დღიდან. ეს იყო 1935 წლის 30 ივლისს. მას აქეთ საბჭოთა ქვეყნის რკინიგზელები ყოველწლიურად აგვისტოს პირველ კვირა დღეს ზეიმით აღნიშნავდნენ ამ ისტორიულ მოვლენას.

ახლა, სამამულო ომის მკაცრ ვითარებაში, საბჭოთა რკინიგზელები ...

... ტყვიებისა და ყუმბარების გრიალში უზრუნველჰყოფენ მატარებლების ზუსტ მოძრაობას და უშუალოდ ეხმარებიან გმირ წითელ არმიას ჰიტლერელთა ურდოების განადგურებაში; ზურგის რკინიგზების მუშაკები დღისით და ღამით შრომობენ შეუსვენებლად, შრომითი მამაცობის სასწაულებს ახდენენ და ამით სჭედენ პირსისხლიან მტერზე გამარჯვებას.

ჰიტლერელ ყაჩაღებთან ...

... ამ დღეებში მთავრობამ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მთელი რიგი რკინიგზების მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ ეს ჯილდო ფრონტსა და ზურგში თავდადებული შრომითა და ბრძოლით დაიმსახურეს. რკინიგზელები ფრონტზე და ზურგში გვიჩვენებენ თავგანწირვის, მამაცობისა და ნამდვილი გმირობის სანიმუშო მაგალითებს. საფრონტო რკინიგზების მუშაკები ყველაზე რთულ პირობებში, მტრის ...

... სერიოზული საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დასტრიალებს, როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქისაგან, ფრონტისა და ზურგის ყველა მებრძოლისაგან, ისე რკინიგზელებისაგან მოითხოვს ძალების მაქსიმალურად დაძაბვას, რათა გამხეცებული მტერი, რომელიც წინ მოძრაობს და ჩვენს სასიცოცხლო ცენტრებს ემუქრება, შეჩერებულ, უკუგდებულ და განადგურებულ იქნას.

უფრო მაღლა აღწიოთ საბრძოლო დროშა ტრანსპორტის ახალი წარმატებებისათვის, ფრონტის დასახმარებლად, ამხანაგო რკინიგზელებო!

უდანაკარგოდ და სწრაფად ავიღოთ მთელი მოსავალი

დიდი სამამულო ომის დღეებში პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების დროს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თითოეული ფუთი პურის და სხვა პროდუქტების ...

... ხელის ფოცხებით. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თავთავების ხელით აღებაში აქტიურად ჩავაბათ უმცროსი კლასების მოსწავლეები. კოლმეურნეობებმა მაქსიმალურად, ორგანიზებულად უნდა მოაწყონ ...

... კარგად აღებას. პურეულის მომკისთანავე უნდა მოეწყოს მარტივი მანქანებითა და ხელით ძნების დაუყოვნებლივი შეკვრა და დროულად დადგმა ზვინებად. კარგად იქცევიან ის კოლმეურნეობები, რომლებიც აწყობენ თავთავების აკრეფას ცხენისა და ...

... კულტურების მოსავალი ავიღოთ სწრაფად, მოკლე ვადებში, მთლიანად და უდანაკარგოდ, დროულად მოვიხადოთ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, — ასეთია საკოლმეურნეო სოფლის ყველა მუშაკის საბრძოლო ამოცანა.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ბელგიის დესპანი ბ-ნი რობერტ ვან დე კერშოვ დ'ალებასი

ა. წ. 1 აგვისტოს კუიბიშევში ჩამოვიდა ბელგიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი რობერტ ვან დე კერშოვ დ' ალებასი.

ნავსადგურზე ბ-ნ ვან დე კერშოვ დ' ალებასს შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! გმირული შრომით დავაჩქაროთ მტერზე გამარჯვება!

ივლისის გეგმების გადაჭარბებით შესრულება

კიროველების წარმატება

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. ბ. სარიშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. კაზაზიშვილი) ივლისში მორიგ გამარჯვებას მიაღწია—გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

— მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას! — ამ ლოზუნგით იბრძოდნენ და იბრძვიან საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმული კიროველები. გეგმები ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულეს № 2, 9 და მექანიკურმა საამქროებმა. საინსტრუმენტო საამქრომ მებრძოლური მუშაობით უზრუნველჰყო დანარჩენ საამქროთა წარმატებები. აღსანიშნავია სამჭედლო საამქრო, რომლის კოლექტივმა მუშაობის მთელი რიგი ახალი სახეები აითვისა. შეწყობილად მუშაობდნენ მექანიკური და ამწყობი საამქროები.

ქარხნის წარმატებებში გარკვეული როლი შეასრულეს ახალმა კადრებმა, რომლებიც კვალიფიციური მუშების დახმარებით დაეუფლნენ პროფესიებს და ყოველდღიურ გეგმებს 300-800 პროცენტით ასრულებენ.

— საბჭოთა სამშობლო, ფრონტი მოითხოვს და ჩვენ ვალდებული ვართ მივცეთ მას მეტი და მეტი პროდუქცია ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის გასანადგურებლად! —ამ საბრძოლო ლოზუნგს კიროველები წარმატებით ასრულებენ.

ი. ...

აგვისტოში უკეთესად ვიმუშაოთ, ვიდრე ივლისში!

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანამ (დირექტორი ამხ. ლ. მეტრეველი, პარტბიუროს მდივანი ამხ. 6. დოქსოპულო) შეასრულა ივლისის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ქარხანაში განსაკუთრებით დაწინაურდა № 7 საამქრო (უფროსი ამხ. ა. გოგიშვილი), რომელმაც ივლისის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. საამქროს მოწინავე ადამიანები ხარატები ამხ. ს. ავლოხოვი, მ. ლაგრაძე, მიხაილიჩენკო, ზეინკლები ამხ. საპოჟნიკოვი, მოლჩანოვი, დემურია, ოსტატი ამხ. კარკუსოვი და სხვ. ყოველდღიურად 4-5-7 ნორმას იძლევიან და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და უწუნო პროდუქციის გამოშვების საუცხოო მაგალითს იძლევა სამარე საამქროს ამხ. ტერეხოვის საოსტატო; ზეინკალი ამხ. მემარნიშვილი, შემდუღებელი კარაჩენცევი და სხვ. ყოველდღიურ გეგმებს 300-400 პროცენტით ასრულებენ.

... ერთად დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამხედრო დავალებები და ხელი შეუწყეს სხვა საამქროთა ნაყოფიერ მუშაობას.

მებრძოლურად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს დანარჩენ საამქროთა მოწინავე ადამიანები. მაგალითად, ხარატები ამხ. ლიპკინი, ხაცევიჩი, წიკლაური გეგმას 500-600 პროცენტით ასრულებენ, ზეინკლები ამხ. პიპირიდი, ჯოხაძე დღეში 5-7 ნორმას იძლევიან, მჭედლის ამხ. ვინიკოვის მიერ გეგმის შესრულება ყოველდღიურად 500-700 პროცენტს უდრის. 23 ივლისს მან დავალება 1.067 პროცენტით შეასრულა.

— აგვისტოში უკეთესად ვიმუშაოთ, ვიდრე ივლისში!

ახლა ამისათვის იბრძვის ავტოსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივი.

ვ. ივანიძე

მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ივლისის გეგმა წარმატებით შეასრულა. 29 ივლისს ფაბრიკამ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, ხოლო 30 ივლისს, დღის 3 საათზე შესრულებულ იქნა მზა პროდუქციის გეგმა.

ივლისში გატარებულ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მქსოველთა მიმაგრება როგორც დაზგაზე, ისე საქონლის ასორტიმენტზე, სამუშაო ადგილის ისე მოწყობა, რომ მუშას იქვე დაზგასთან ხელთ აქვს ...

... ზრდა უზრუნველჰყო ყველა დამაბრკოლებლი მიზეზის ღრმად შესწავლამ და გამოსწორებამ. გარდა ამისა, გატარებულ იქნა ზოგიერთი ღონისძიება, რაც წინათ არ კეთდებოდა. მაგალითად, წინათ გარეცხილ მატყლს ჯერ აშრობდნენ, ხოლო შემდეგ ღებავდნენ და ისევ აშრობდნენ. ახალი წესის მიხედვით გარეცხილ მატყლს პირდაპირ ღებავენ და მხოლოდ ამის შემდეგ აშრობენ, რაც იძლევა დროის ეკონომიას 25-30 პროცენტით.

ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად ...

მოწინავე მაღაროს უბნები და ცელები

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). მაღაროელთა სრულიად-საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღარომ მე-3 სექსპლოატაციო უბნის კარგი მუშაობით ქვანახშირის ამოღების ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ივლისში ნანიკაშვილის უბანმა გეგმის გადამეტებით ამოიღო 390 ტონა ქვანახშირი, ...

... კუბლაშვილის ცელმა გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, გუბაშვილის ცელმა—119 პროცენტით და ძოწენიძის ცელმა—114 პროცენტით.

ქვანახშირის მწგრეველებმა ე. ზილაძემ, ა. ქასრაშვილმა, რომანოზ და ალისტრახო ქათამაძეებმა, რომლებიც ამავე დროს ბრიგადირებად მუშაობენ, პირადი საწარმოო დავალებები 140-190 პროცენტით გაანაღდეს.

დ. საბელაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოწინავე ადამიანები. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ, ზევიდან) — დაჯილდოებულნი: ლენინის ორდენით—დ. ტაბატაძე, ო. ლუგოვოი, გ. ვაშაკიძე, ს. დავლიანიძე; შრომის წითელი დროშის ორდენით — გ. ტენიშევი, ა. ლომსაძე, ნ. ყიფიანი; „საპატიო ნიშნის" ორდენით—გ. გელაშვილი, გ. პაქსაშვილი; მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — ბ. გავრილოვი, ი. ქიტაშვილი, ს. სანაძე, ი. მგელაძე; მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — ვ. ცაცანაშვილი და ნ. პეტროვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

რკინიგზელთა დღეს ახალი წარმატებებით ხვდებიან

თბილისის საორთქლმავლო დეპო

2 აგვისტოს — რკინიგზელთა საკავშირო დღეს ახალი საწარმოო მიღწევებით ხვდება თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი. უკვე შეჯამებული წინასწარი ცნობები მოწმობენ, რომ საკავშირო სოცშეჯიბრებაში ჩაბმული საორთქლმავლო დეპო ივლისში გაცილებით უკეთ მუშაობდა, ვიდრე ივნისში.

ივლისის დავალება საორთქლმავლო დეპოში შესრულებულია მთლიანად, ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი ნორმასთან შედარებით ბევრად არის შემცირებული, გადაჭარბებით არის დავალება შესრულებული ორთქლმავალთა გარეცხვისა და გამოშვების დარგში, გაწეულია საწვავის საგრძნობი ეკონომია.

განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწია და ყველაზე წინ მიდიოდა ამხ. შ. ხიზანა- ...

... რომელმაც ივლისის დავალება 109.3 პროც. შეასრულა. ივლისში ბრიგადის წევრებმა მიაღწიეს იმას, რომ ნორმასთან შედარებით 29 პროცენტით შეამცირეს ორთქლმავალთა სარემონტოდ დაყენების დრო. ბრიგადის წევრთა შორის საუკეთესოდ მუშაობდა ზეინკალი კიკნაძე, რომელმაც შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა ივლისში 273,9 პროცენტით შეასრულა.

დეპოს მუშები ახალი შრომითი პათოსით იწყებენ აგვისტოს საწარმოო დავალებათა შესრულებას. დღეს, 2 აგვისტოს, დეპოს მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები—უკლებლივ ყველანი გამოდიან სამუშაოზე, რათა ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მისცენ დამატებითი პროდუქცია. ამ დღის კუთვნილი ხელფასით გააძლიერონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდი.

დ. ...

პირველობას არ დავთმობთ

... როლებს პასუხსაგებ დავალებებს. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ კიდევ უფრო დავძაბეთ ჩვენი ძალები, უფრო ნაყოფიერი გავხადეთ ჩვენი მუშაობა. გზაზე სავაგონო უბნებს შორის ორ თვეზე მეტია პირველ ადგილს ვიკავებთ და პირველობას არ დავთმობთ.

ლენინური მეთოდების, მოწინავე ადამიანთა გამოცდილების დანერგვით მივაღწიეთ უბნის უწუნო და უავარიო მუშაობას, ამის შედეგად მივიღეთ ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის გარდამავალი წითელი დროშა.

... დროშის ორდენით. ჩემთან ერთად დაჯილდოებულია სტახანოველი ბრიგადირი შ. ჯაიანი.

მაღალმა ჯილდომ კიდევ უფრო გამიძლიერა ენერგია შრომის ფრონტზე ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. მთავრობის მაღალი ჯილდოს პასუხად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ გმირი წითელი არმიის დასახმარებლად, ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის.

ა. გიორგაძე

სამტრედიის მეორე სავაგონო უბნის უფროსი, ორდენოსანი.

ინგლისში მოძრაობაა იმის სასარგებლოდ, რომ საჩქაროდ შეიქმნას მეორე ფრონტი

ლონდონი, 30 ივლისი (საკდესი). ინგლისის საზოგადოებრიობა და მრავალი გაზეთი მოითხოვს რაც შეიძლება მალე შეიქმნას მეორე ფრონტი ევროპაში. ამას წინათ ლონდონში, ტრაფალგარ-სკვერში, გამართა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70 ათასმა კაცმა; მიტინგმა მოითხოვა დაჩქარდეს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ...

... აუცილებლობისა და მეტისმეტი საფრთხის იმედით გამოშვლა ოკუპირებული ტერიტორიები და თვით გერმანიაც, და იქ მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით დასტოვა ჯარები".

პარლამენტის წევრმა, ლიბერალმა ხორაბინმა სიტყვა წარმოთქვა თავის ამომრჩეველთა კრებაზე და მოითხოვა მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნა. ხორაბინმა აღნიშნა, რომ ახლანდელი ვითარება, როდესაც ინგლისის წინააღმდეგ შეიძლება გამოიგზავნოს გერმანიის მხოლოდ მეორეხარისხოვანი ...

... მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში.

ლეიბორისტმა მოღვაწემ ლორდ სტრაბოლჯიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ლონდონში 27 ივლისს, განაცხადა: „ახლა, როდესაც სამხედრო მდგომარეობამ რუსეთის სამხრეთ ნაწილში კრიტიკულ ეტაპს მიაღწია, ჩვენ უნდა დავარტყათ მტერს დასავლეთში და გავხსნათ ერთი ან რამდენიმე ახალი ფრონტი ევროპაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დიდ შესაძლებლობებს დავკარგავთ. ჰიტლერმა ინგლისისა და ამერიკის ...

... თვის სამიმ ზომამდე, რათა მთელ თავიანთ რესურსებს თავი მოუყარონ იმისათვის, რომ განახორციელონ ერთი ამოცანა—დაამარცხონ რუსეთი. გასაკვირველი არ არის, რომ ამჟამად წარმოიშვა ის, რასაც ინგლისის ოფიციალური წარმომადგენლები მოქმედების „სახალხო მოთხოვნას" უწოდებენ. „რაც უნდა სერიოზული იყოს რისკი,—სწერს კამინგსი,—რაც უნდა ძნელი იყოს ამოცანა, იგი სწრაფად უნდა შესრულდეს, იმიტომ რომ სხვა გამოსავალი არა სჩანს".

ამერიკის საზოგადოებრიობა მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნას მოითხოვს

ნიუ-იორკი, 29 ივლისი (საკდესი). ამ დღეებში ნიუ-იორკის უდიდეს დარბაზში — მედისონ სკვერ გარდენში შედგა ქალაქ ნიუ-იორკის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის მიერ მოწვეული მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 35 ათასზე მეტმა კაცმა. მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი ევროპაში. მიტინგმა ჩაიარა ლოზუნგით: „სრული მხარდაჭერა პრეზიდენტს მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის საქმეში". ...

... ტთა განადგურებას მოგვიტანს. რუსეთის სახელოვანი არმიები უკვე 13 თვეა მედგარ წინააღმდეგობას უწევენ სამხედრო მანქანის ჰიტლერის ...

„მე ჩემი ამომრჩევლების იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ,—სთქვა ...—რომ ეს მთელი ხალხის იმედია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ...

... რომ ჩვენ ლახვარს ჩავცემთ ჰიტლერს დასავლეთში, დავანაწევრებთ ფაშისტთა შეიარაღებულ ძალებს და შევქმნით შესაძლებლობას აღმოსავლეთისა და დასავლეთში გადამწყვეტი შეტევისათვის, რომელიც ფაშის- ...

... ბრძოლის ველზე შევხვდეთ მთელ მის არმიას". დასასრულ გაზეთი სწერს: „დრო არასოდეს არ არის ნეიტრალური. დრო მუდამ იმ არმიის მხარეზე იბრძვის, რომელიც მას იყენებს".

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების ვადის განგრძობის გამო

ვაშინგტონი, 1 აგვისტო (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობაში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების ვადის განგრძობის თაობაზე ამხ. ლიტვინოვსა და ბ-ნ ჰელს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლის შესახებ აღნიშნულია, რომ შეთანხმება ძალაში დარჩება ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ იგი უფრო ფართო სავაჭრო შეთანხმებით არ შეიცვალა. „თუმცა მოსალოდნელია,—ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობაში,—რომ მომავალ წელს ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ხასიათი და მოცულობა მნიშვნელოვან წილად განსაზღვრულ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და სხვა იმ ქვეყნების სამხედრო საჭიროებით, რომლებიც აგრესიის ხარბი ძალების წინააღმდეგ იბრძვიან, და არა ჩვეულებრივი სავაჭრო მოსაზრებებით, ნოტების გაცვლა-გამოცვლა უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირთან ჩვენი დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელებას საგანგებო პერიოდის განმავლობაში, 1937 წლის სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე".

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების ვადის განგრძობა

31 ივლისს ვაშინგტონში მოხდა ნოტების გაცვლა-გამოცვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მ. მ. ლიტვინოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ კორდელ ჰელს შორის — სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ. ეს შეთანხმება, რომელიც აწესრიგებს ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობას უდიდესი ურთიერთხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე, დადებულ იქნა 1937 წელს და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ყოველ წელს ხდებოდა მისი განახლება თითო წლის ვადით. ამჟამად სსრ კავშირისა და ამერიკის ...

„წარმოებული მოლაპარაკების შესაბამისად, პატივი მაქვს დავადასტურო ჩემი მთავრობის სახელით შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნების მთავრობათა შორის იმის შესახებ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობის თაობაზე არსებული შეთანხმება, რომელიც მოხსენებულია 1937 წლის 4 აგვისტოს ნოტებში მათი გაცვლა-გამოცვლისას და რომელიც ძალაში შევიდა 1937 წლის 6 აგვისტოს და განახლებულ იქნა 1938 წლის 5 აგვისტოს, 1939 წლის 2 აგვისტოს, 1940 წლის 6 აგვისტოს და 1941 წლის 2 აგვისტოს, ძალაში დარჩება 1943 წლის 6 აგვისტომდე. ...

პარტიზანული ბრძოლა საბერძნეთში

ნიუ-იორკი, 30 ივლისი (საკდესი). საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით, იტალიელები იძულებული არიან დიდძალი ჯარი იყოლიონ საბერძნეთში იმის გამო, რომ იქ პარტიზანთა მოქმედება გაძლიერდა. ბერძენ პარტიზანებთან ერთად 4.500 ინგლისელი ჯარისკაცი იბრძვის ოკუპანტების წინააღმდეგ.

პარტიზანული რაზმები მოქმედებენ საბერძნეთის 5 რაიონში—როდოპისა და თრაკიის მთებში, პარნასის მთის რაიონში, თერმოპილის რაიონში, ტაიგეტუსის მთებში — სპარტაში და კრეტის კუნძულზე.

ამას წინათ პარტიზანებმა გაათავისუფლეს 300 ინგლისელი ჯარისკაცი, რომელნიც ტყვედ ჩავარდნილიყვნენ ლიბიაში და ...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 აგვისტოს დილის ცნობა

31 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან კლეტსკაიას და ციმლიანსკაიას რაიონებში და ბატაისკის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

კლეტსკაიას რაიონში სასტიკი ბრძოლები გრძელდებოდა. № სატანკო ნაწილი ბრძოლას ეწეოდა მტრის ქვეითს ჯართან და ტანკებთან. მოსპობილია მტრის ჯარის ნაწილების 2 შტაბი, 12 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა და სულ ცოტა 1.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 100 საზიდარი სამხედრო ქონებიანად და საჭურვლიანად.

• • •

ბატაისკის სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები მძიმე ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის მოტოქვეით ჯართან და ტანკებთან. გერმანელებმა დიდძალ ჯარებს მოუყარეს თავი და ცდილობენ განავითარონ წარმატება. ბრძოლები ხშირად სისხლისმღვრელ ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცევა ხოლმე. ერთი ჩვენი ნაწილი დღე-ღამის განმავლობაში აკავებდა გერმანელთა ტანკების და ქვეითი ჯარის მოძალებას, რომლებსაც დახმარებას უწევდა ავიაცია. გაბედულმა მებრძოლებმა გერმანელთა 17 ტანკი დასწვეს და 1.100-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს. მაგრამ მოწინააღმდეგემ მოახერხა ნაწილის განლაგებაში შემოჭრილიყო. ბრძოლა თავდაცვის რაიონს შიგნით გაჩაღდა. სხვა უბანზე საბჭოთა ნაწილებმა ახალ ზღუდეებზე გადაინაცვლეს.

• • •

ბრიანსკის ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდებოდა. სატანკო ქვეგანაყოფმა კაპიტან გორლოვის მეთაურობით ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელთა 30 ტანკი მოსპო და მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. ერთმა არტილერიის ბატარეამ 4 დღის განმავლობაში მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 18 ტანკი, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, 3 ნაღმსატყორცნი და 1 საზენიტო ბატარეა და 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა. ჯავშანმტვრეველებმა — სერჟანტმა ამხ. ლუცენკომ და წითელარმიელმა ამხ. დმიტრიევმა, რომელნიც მოწინააღმდეგის იერიშს იგერიებდნენ, გერმანელთა 2 ტანკი დააზიანეს.

• • •

ბელორუსიის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ამხ. ნ-ს პარტიზანულმა რაზმმა 3 დღის განმავლობაში 226 ჰიტლერელი მოსპო. ივლისში ამ რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის 2 სამხედრო ეშელონი. მეზობელ რაიონში მოქმედი სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა გადასწვა საწყობი საწვავ მასალიანად. ცეცხლმა 120 ტონა ბენზინი და 40 ტონა საპოხი ზეთეული გაანადგურა.

• • •

გერმანელთა 138-ე პოლკის 1-ლი დივიზიონის მე-3 ბატარეის ტყვედ წამოყვანილმა ობერ-ეფრეიტორმა ანტონ ტიშლერმა განაცხადა: „1942 წლის მარტში 138-ე საზენიტო პოლკი დამარცხებულ იქნა და მატერიალური ნაწილი დაჰკარგა. ამის შემდეგ იგი რამდენჯერმე შეავსეს ხალხით და ახალი ქვემეხებით. ივლისის დამდეგს 1-ლმა დივიზიონმა კვლავ დაჰკარგა ყველა ქვემეხთა და პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხოლო როცა დივიზიონმა ვორონეჟის რაიონში მდინარე გადმოლახა, იგი სავსებით დაამარცხეს. გადარჩენილი უმნიშვნელო ნაწილი ტყვედ ჩავარდა".

• • •

გერმანელი ფაშისტი არამზადები დაპყრობილი საბჭოთა რაიონების მოსახლეობას ჟლეტენ. ქალაქ კურსკის განაპირა უბანში ჰიტლერელებმა ბანაკი შექმნეს სამოქალაქო მოსახლეობისათვის. ამ ბანაკში, რომელიც ეკლიანი მავთულით არის შემოღობილი, იმყოფება 500-ზე მეტი პატიმარი—ქალები და მოხუცნი, აგრეთვე ბავშვები და მოზარდნი. პატიმრებს მეტად მძიმე სამუშაოს ასრულებინებენ. შიმშილისა და მხეცური წამების შედეგად ბანაკში 5-10 კაცი იხოცება ყოველდღიურად.

• • •

ამ უკანასკნელ ხანს მეტად გამწვავდა სასურსათო მდგომარეობა ქალაქ ჰამბურგში (გერმანია). მთელი კვირაა, რაც მცხოვრებთ ერთი გრამი პურიც აღარ ეძლევათ. ქალაქში ტიფის ეპიდემიამ იფეთქა. 26 ივლისს ჰამბურგში დამშეულთა დემონსტრაცია გაიმართა. ქალების ჯგუფმა რამდენიმე სასურსათო საწყობი და მაღაზია დაარბია. გესტაპოელებმა, რომელნიც ცდილობდნენ გაეფანტათ დემონსტრანტები, იარაღს მიმართეს. მოკლულია და დაჭრილია 45 კაცი. პოლიციამ მასობრივი დაპატიმრება მოახდინა.

1 აგვისტოს საღამოს ცნობა

1 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ სასტიკ ბრძოლებს კლეტსკაიას, ციმლიანსკაიას, კუშჩევსკაიას და სალსკის რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

31 ივლისის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 50-მდე ტანკი, 330 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 45 საზიდარი სამხედრო მასალიანად, ჩააჩუმეს საველე და საზენიტო არტილერიის 20 ბატარეის ცეცხლი, ააფეთქეს 2 საწყობი საომარ მასალიანად და საწვავის 2 საწყობი, დაამსხვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის სამ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

კლეტსკაიას რაიონში და ამ პუნქტის სამხრეთით მოწინააღმდეგე, რომელსაც ახალი რეზერვები გამოჰყავს ბრძოლაში, ჩვენს თავდაცვითს ზღუდეებზე მოძალებას აძლიერებს. ჩვენი ჯარები ჰიტლერელთა შემოტევას აკავებდნენ, ხოლო ცალკეულ უბნებზე აქტიური მოქმედებით დარტყმებს აყენებდნენ მტრის სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილებს. 6 მსროლელმა ბატალიონმა დღის განმავლობაში მტრის შვიდი იერიში მოიგერია. საღამოს, ჩვენი ზღუდეების სასტიკი ბომბარდირების შემდეგ, გერმანელები მერვეჯერ გადმოვიდნენ იერიშზე ტანკების დახმარებით. ჩვენმა მებრძოლებმა მძლავრი სანაღმსატყორცნო და სატყვიამფრქვევო ცეცხლი დაუშინეს მტრის ქვეითს ჯარს. ჰიტლერელებმა დაჰკარგეს 6 ტანკი და 500-ზე მეტი კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით და უკან დაიხიეს. წარმატებით მოქმედებს ჩვენი სატანკო ნაწილი. ტანკისტები გაბედული კვეთებით შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და გაანადგურეს დიდი ავტოკოლონა საომარ მასალიანად. გარდა ამისა, ამ ოპერაციის დროს მოსპობილია 12 ქვემეხი, გერმანელთა 2 ტანკი და სულ ცოტა 400 ჰიტლერელი.

• • •

ციმლიანსკაიას რაიონში, დონის სამხრეთ ნაპირას გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები მტერთან. ერთ-ერთ უბანზე ჩვენი არტილერისტები და ნაღმმტყორცნელები მტრის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარების კოლონას თავმოყრილი ცეცხლით შეხვდნენ წინასწარ გამიზნულ ზღუდეებზე. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 10 ტანკი, 6 ჯავშნიანი მანქანა, 14 ქვემეხი და 17 ტყვიამფრქვევი. ბრძოლის ველზე 800-მდე მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა.

• • •

კუშჩევსკაიას და სალსკის რაიონებში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ სასტიკ ბრძოლებს მტრის ჭარბ ძალებთან. მტერთან შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა ერთს წყალზე გადასასვლელთან. ამ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა 1.500-მდე ჰიტლერელი გაჟლიტეს. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა რამდენიმე ათეული დაზიანებული ტანკი. არანაკლებ სასტიკი ბრძოლები იყო სალსკის რაიონში. ჰიტლერელებმა რამდენიმე სატანკო იერიში მოიტანეს და დიდი ზარალის ფასად შეავიწროეს ჩვენი ნაწილები.

• • •

ვორონეჟის რაიონში საბჭოთა ჯარები მიღწეულ ზღუდეებზე მაგრდებოდნენ. აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები. ქალაქის სამხრეთით მოწინააღმდეგემ სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ მას დიდი ზარალი მივაყენეთ და უკუვაქციეთ. ნ ნაწილის არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმით მოსპეს 70 სატყვიამფრქვევო წერტი, ნაღმსატყორცნი ბატარეა, ბლინდაჟი საომარ მასალიანად და მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი ავიაციის მოქმედებით აფეთქებულია რკინიგზის ეშელონი საომარ მასალიანად და მტრის დიდი საარტილერიო საწყობი.

• • •

ბელორუსი პარტიზანები განუწყვეტლივ ურტყამენ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების კომუნიკაციებს. რაზმმა „კოტოვსკიმ", რომელიც ამას წინათ შეიქმნა, მდინარეზე ხიდი ააფეთქა. ამის გამო გზატკეცილზე მიმოსვლა შესწყდა. რაზმის პარტიზანებმა ამხ. რ-ს მეთაურობით მტრის რკინიგზის ეშელონის მარცხი მოაწყეს. დამტვრეულია 18 პლატფორმა ტანკებიანად, 10 პლატფორმა ქვემეხებიანად და 4 ვაგონი ჯარისკაცებიანად. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს შემადგენლობა საომარ მასალიანად. აფეთქებები 40 წუთს გრძელდებოდა. პარტიზანთა მოქმედება დიდ შეშფოთებას იწვევს ჰიტლერელთა შორის. ხელთ ვიგდეთ რკინიგზის კომენდანტებისადმი დაგზავნილი შემდეგი დეპეშა:

„რკინიგზის კომენდატურა. „ცენტრი" მოითხოვს, რომ სასწრაფოდ გაძლიერდეს გზების დაცვა. პარტიზანები საგრძნობ დარტყმებს გვაყენებენ, უმთავრესად ვიტებსკის, ნეველის, პოლოცკის, ლიდის, ბარანოვიჩისა და მოლოდეჩნოს რაიონებში".

• • •

ქვემოთ ვაქვეყნებთ მოკლულ გერმანელ ოფიცერ ჰილნერის დღიურის ნაწყვეტებს:

„**1 ივნისი.** შვებულება გამთავდა. მივდივართ ბრესტ-ლიტოვსკ-ბარანოვიჩ-მინსკით. გარშემო აყვავებული ხეხილია. ძალიან ცოტაა ნათესი, ირგვლივ უდაბური ადგილია. ღამით აღარ მივდივართ. აქ საშიში ადგილებია. ბევრია პარტიზანი.

10 ივნისი. ბრიანსკი. ღამე სამჯერ დაგვესხნენ თავს ჰაერიდან. გაისმის ბომბების აფეთქებისა და საზენიტო ქვემეხთა გრიალი. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭნია. ფიქრები მომაწვა, რომლებიც ჯერ კიდევ შინ მიტრიალებდა თავში: სამშობლო მეტისმეტად არის დაძაბული. ვინც კი ოდნავ მაინც გამოდგებოდა სამხედრო სამსახურისათვის, ყველა გაწვეულია. ძალიან ბევრია უცხოელი მუშა. მათი ყოფნა სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს საფრთხეც არის გერმანიისათვის. ახლა ისინი მიყუჩებული არიან, მაგრამ რა მოხდება, ჩვენ რომ სამხედრო მარცხი დაგვემართოს? ყველაზე მეტად მაფიქრებს გერმანიის არმიის ზარალი. ყოველივე საფუძველი მოგვეპოვება, რათა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ფრონტზე ზარალმა უკვე გადააჭარბა გერმანიის არმიის დანაკლისს, რაც მას ყველა ფრონტზე ჰქონდა პირველი მსოფლიო ომის 4 წლის განმავლობაში.

19 ივნისი. გამოვეცხადე კაპიტან ჰუმელჰირშბერგთან. მივიღე ჩემი ასეული. ასეულის საბრძოლო შემადგენლობა ასეთია: 3 ოფიცერი, 16 უნტერ-ოფიცერი, 73 რიგითი ჯარისკაცი.

8 ივლისი. რუსეთის არტილერია ყველა ქვემეხს გვესვრის. რა მძიმე ზარალს გვაყენებს იგი. თუ ასე გაგრძელდა, ერთი კვირის შემდეგ ასეულში აღარავინ დარჩება".

• • •

ბატაისკის სამხრეთით მდებარე რაიონში გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დანაღმულ ველზე მირეკეს ადგილობრივი მცხოვრებნი—ქალები, ბავშვები და მოხუცნი. 150-ზე მეტი კაცი ნაღმებით აფეთქდა.

• • •

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა არმიის უდიდეს ზარალთან დაკავშირებით გერმანიის სარდლობამ 1925 წელს დაბადებულნი გაიწვია. არმიაში გაიწვიეს აგრეთვე ყველა ასაკის პირნი, რომელნიც წინათ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული იყვნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

• • •

ქარხანამ, რომლის დირექტორიც არის ამხ. ვოლკოვი და რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახის საომარ მასალებს ამზადებს, ივლისისათვის გადიდებული პროგრამა მიიღო. ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა ეს დავალება. ქარხანამ ივლისში 73 პროცენტით მეტი საომარი მასალა გამოუშვა, ვიდრე იენისში.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ბომბდამშენების თავდასხმა დიუსელდორფზე

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 31 ივლისს ღამით დიუსელდორფს თავს დაესხა ინგლისის ბომბდამშენთა ძალიან დიდი შენაერთი.

დიუსელდორფი გერმანიის ფოლადის მრეწველობის ცენტრია. იქ მდებარეობს დიდი სამხედრო მნიშვნელობის მქონე ქარხნები.

დაწვრილებითი ცნობები დიუსელდორფზე ინგლისის ავიაციის თავდასხმის შესახებ

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, დიუსელდორფზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა ბომბდამშენთა ყველაზე დიდი შენაერთი, როგორიც კი ინგლისის ავიაციას გამოუყენებია უკანასკნელ ხანს. ამავე დროს იერიში მიტანილ იქნა ძირდასაშვებ მოედნებზე ჰოლანდიაში და რკინიგზის ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში. ამ ოპერაციებიდან თავიანთ ბაზებში არ დაბრუნებულა 31 თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება ჩრდილოეთ საფრანგეთში

ლონდონი, 1 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 31 ივლისს დღისით „ბოსტონ" ბომბდამშენთა ესკადრილია, რომელსაც დიდძალი „სპიტფაირ" ავიაგამანადგურებელი ახლდა, თავს დაესხა აბვილის აეროდრომს.

31 ივლისს საღამოს „ბოსტონ" ბომბდამშენები „სპიტფაირ" ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ საფრანგეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავსადგურის—სენ-მალოს დოკებს.

სამშობლოს ინტერესები მოითხოვს სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი!

არ დავუშვათ დანაკარგები მოსავლის აღებაში

ქარელი („კომუნისტის" კორ.). კოლმეურნეობები გაძლიერებული ტემპებით იღებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალს. მოსავალი აღებულია გეგმის 60 პროცენტზე მეტი. სოფ. კლდუს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ აიღო 18 ცენტნერი ქერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერისა. ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს სოფ. აბისის კოლმეურნეობა „გლეხის შრომამ", სოფ. წვერის ჟდანოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

მაგრამ მოსავლის აღებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა თავთავიანი მარცვლეულის უდანაკარგოდ აღებას. სოფ. რუისის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" ახლად მომკილ პურის ყანაში დარჩენილ თავთავებს საქონელი ანადგურებს. აქ ვხვდებით თავთავის დატაცებას. დანაკარგების წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან ახალსოფლის ბეჟანიშვილის სახელობის, ქვემოხვედურეთის მახარაძის სახელობის, ქარელის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობები და სოფ. რუისის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება".

რუისის მტს-ის ზოგიერთი კომბაინი სრული ნაყოფიერებით არ მუშაობს. № 2 კომბაინმა, რომელიც რუისის წინაუბნის კოლმეურნეობის ნაკვეთზე მუშაობს, ორი კვირის განმავლობაში მოსავალი მხოლოდ 3 ჰექტარზე აიღო. ეს იმის შედეგია, რომ კომბაინი ხშირად ზიანდება და მისი რემონტი ორგანიზებული არ არის. ასევე ცუდად მუშაობს ქარელის მტს-ის № 1 კომბაინი.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის დროულად ჩაბარებას აფერხებს ის, რომ მარცვლის შემმოწმებელი ლაბორატორია დიდად დაშორებულია მიმღებ პუნქტს. პურით დატვირთულმა ურმებმა უნდა გამოიარონ საწყობი, შემდეგ მივიდნენ ლაბორატორიაში, ხოლო შემდეგ მათ უხდებათ ისევ მიმღები პუნქტისაკენ წასვლა. ეს კი იწვევს დროის დაკარგვას და მარცვლის ჩაბარების გაჭიანურებას. არის აგრეთვე ცალკეული შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად მიაქვს დაუხარისხებელი მარცვალი. ეს ითქმის სოფ. ურბნისის კოლმეურნეობაზე და სხვ.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და მტს-ების პოლიტგანყოფილებების უფროსებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ დანაკარგების ასალკვეთად და სახელმწიფოსათვის პურის დროულად ჩასაბარებლად.

ვ. ინასარიძე

ბეჯითად მუშაობენ მოსავლის აღებაზე

თეთრი წყარო („კომუნისტის" კორ.). დიდი სამამულო ომის დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებზე კოლმეურნეები ბეჯითად მუშაობენ, რომ სამხედრო მოსავალი სწრაფად, უდანაკარგოდ აიღონ.

მოხუცი ალექსანდრე ფილიევი სოფ. ახკალაფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აქტიური წევრია. — მე ფრონტზე სირცხვილს არ გავჭამ, შენ კი კოლმეურნეობაში მასახელე,—სწერს შვილი ბრძოლის ველიდან ამხ. ფილიევს, და ისიც სასახელოდ მუშაობს. ივნისში 69,4 შრომადღე გამოიმუშავა.

ალ. ფილიევთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული შაქრო თიგიევი, რომელსაც 4 შვილი ფრონტზე ჰყავს. მოსავლის აღების პერიოდში ამხ. თიგიევმა 44 შრომადღე გამოიმუშავა.

სოფ. კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის უდანაკარგოდ აღებით თავი ისახელა პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი გ. მიკირტუმაშვილი), რომელმაც პირველმა დაამთავრა ქერისა და პურის აღება.

სოფ. დიდი დურნუკის კოლმეურნეობა „შრომაში", სოფ. შახვეტილის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ქალები, მოზარდები, მოხუცი კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ და ამით აიხსნება ამ კოლმეურნეობათა წარმატება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში.

აკ. ჩავლეიშვილი

კომბაინერი ლ. შიუკაშვილი მოსავალს უდანაკარგოდ იღებს

თელავი („კომუნისტის" კორ.). თელავის მტს-ის კომბაინერი ლუკა შიუკაშვილი ჩაბმულია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი აქტიურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს მოსავლის დროულად აღების საქმეში.

ამხ. შიუკაშვილი ზუსტად იცავს კომბაინის მოვლის ტექნიკურ წესებს, დანაკარგების თავიდან ასაცილებლად კომბაინს გაუკეთა მარცვალმჭერი, 10 დღის განმავლობაში მოსავალი აიღო 113 ჰექტარზე, დღეში ნორმით გათვალისწინებული 8 ჰექტარის ნაცვლად მოსავალს იღებს 10-12 ჰექტარზე და ზოგავს საწვავ-საცხებ მასალას.

მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაში ლ. შიუკაშვილი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული კომბაინერ დ. კოპეშაძესთან.

მოსავლის აღების პირველი შედეგების შემოწმების შედეგად კომბაინერ შიუკაშვილს გადაეცა მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა, მან ტყისრა წელს მოსავალი აიღო 250 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარისა.

გ. ცხადაძე

პირველი განაღები პური სახელმწიფოს

გორი („კომუნისტის" კორ.). სოფ. ქვემონიქოზის კოლმეურნეობა „განთიადმა" (თავმჯდომარე ამხ. ვ. საძაგლიშვილი) სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად რაიონში პირველმა დაამთავრა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება 173 ჰექტარზე. მოსავალი აიღო 7 სამუშაო დღეში. ამჟამად მიმდინარეობს ლეწვა. კოლმეურნეობამ პირველი განაღები სახელმწიფოს ჩააბარა 78 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის მარცვლეული და შეუდგა საშემოდგომო თესვისათვის მზადებას.

წარმატებით ამთავრებს ქერისა და ხორბლის აღებას სოფ. დიდი ბერშუეთის კოლმეურნეობა. მოსავალი უკვე აღებულია 180 ჰექტარზე. მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეები სიკო ქვიჟინაძე, ოლია ბიძინაშვილი, თამარ მაისურაძე, ვარა ხოდელი, სონა ახალბედაშვილი დღიურ ნორმებს 200 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

კოლმეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის თავთავიანი მარცვლეულის ჩაბარების გეგმა.

შ. ჩუბინიძე

ჩაის კრეფის გეგმის შესრულება

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა 31 რიცხვისათვის გადამეტებით შეასრულეს.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი **გ. ჩაჩიბაია**

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. საჯაია**

დონის გადმოსასვლელებთან

მოქმედი არმია, 1 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელები დონის გადმოსასვლელებისაკენ მოისწრაფიან. მტრის ავიაციას განუწყვეტლივ მოჰქონდა იერიში ხიდებზე და სხვადასხვა ყაიდის 150-200 ბომბს აყრიდა ზოგ მათგანს მოკლე ხნის მანძილზე. მტერი ჰაერიდან დარტყმებით არა კმაყოფილდებოდა და საჰაერო დესანტებს სხამდა გადმოსასვლელებთან, წინ გამოჰყავდა ტანკების ცალკეული ჯგუფები, დივერსანტებს ჰგზავნიდა ჩვენს ზურგში.

ერთ-ერთ გადმოსასვლელთან მტრის ბრეზენტით გადახურული 12 ტანკი, რომელთაც ღამის წყვდიადით ისარგებლეს, საბჭოთა ჯარების ერთი კოლონის ბოლოს მოადგა. გერმანელებს განზრახვა ჰქონდათ ჩვენს ქვეგანაყოფებთან ერთად გადმოეყვანათ თავიანთი მოწინავე რაზმი.

ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნის მემიზნე ივანე ბუკინმა მოტორთა ხმაურით გამოიცნო, რომ მტრის ტანკები მოვიდნენ. ბუკინმა გზას გადაუხვია და დაიცადა, სანამ ტანკები უფრო ახლო მოვიდოდნენ. არტილერისტებმა ერთ-ერთ მანქანაზე ფაშისტური ნიშანი დაინახეს. ეჭვი აღარ იყო. წინა ტანკს ბუკინის ზარბაზნის ჯავშანგამტანცეცხლწამკიდი ყუმბარა მოხვდა. ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. მტრის დანარჩენი მანქანები გაჩერდნენ და საპასუხო სროლა ასტეხეს. არტილერისტები ბრძოლას განაგრძობდნენ. მემიზნე შჩელკუნოვმა თავისი ქვემეხის სროლით ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა ორ ტანკს. სხვებიც მარჯვედ ისროდნენ. გერმანელებმა თავიანთი მანქანების ნახევარი დაჰკარგეს, უკან გაბრუნდნენ და ხევში დაიმალნენ.

დონის ნაპირებზე გმირულად იბრძოდნენ სხვა ქვეგანაყოფებიც. **სახალხო** ლაშქრის პოლკმა დიდი ზარალი მიაყენა მტერს. ამხ. გოლოვინის მეავტომატეთა ასეული გადმოსასვლელს იფარავდა სოფელ ა-სთან. გერმანელებმა ჭარბი ძალებით აიძულეს ეს ქვეგანაყოფი ზედ მდინარის ნაპირთან გადმოენაცვლებინა. მაგრამ გაბედულთა შეუპოვრობის გატეხა მათ ვერ მოახერხეს. მოლაშქრე მეავტომატეებმა ნაპირს რომ მიაღწიეს, სწრაფად გადაჯგუფდნენ და გადასასვლელთან წინააღმდეგობის და საფარის რამდენიმე კერა შექმნეს. როგორც კი გერმანელები მდინარეს უახლოვდებოდნენ, მათ სხვადასხვა მხრიდან ავტომატის მარჯვე ცეცხლი ატყდებოდათ თავს. მტერმა რამდენჯერმე სცადა იერიში მიეტანა გადმოსასვლელზე, მაგრამ ეს ცდა ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა. ამ ადგილას მდინარის მისადგომებზე ფაშისტებმა 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

იმ მოლაშქრეთა ასეულმა, რომელსაც ამხ. ლემჩინსკი მეთაურობს, ჰიტლერელთა 5 პირდაპირი და საფლანგო იერიში მოიგერია. პოლიტხელ იშჩენკოს მცირე ჯგუფმა 45 დივერსანტი აღმოაჩინა და დახოცა.

სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება და უშიშრობა გამოიჩინა სამედიცინო დამ ანა ტიულპინამ. მან მტრის ძლიერ ცეცხლ ქვეშ მოაწყო 60 დაჭრილი მებრძოლისა და მეთაურის გადმოყვანა. როდესაც შეუძლებელი გახდა დაჭრილების ხიდზე გადაყვანა, ტიულპინა ნავებით, ტივებით და ავტომობილის კამერების გამოყენებითაც კი ჰგზავნიდა მათ. ბომბის ნამტვრევით დაჭრილმა მამაცმა სამედიცინო დამ ერთ-ერთმა უკანასკნელმა დასტოვა მდინარის მარჯვენა ნაპირი, სადაც ერთი დაჭრილიც აღარ დარჩენილა.

ა. მალიბაშვილი

ჰიტლერელები ამზადებენ ტრანსილვანიის გადაქცევას გერმანიის პროტექტორატად

უნგრეთის „გერმანელ უმცირესობის" გამომწვევი ქცევა

სტამბოლი, 1 აგვისტო (საკდესი). ადგილობრივ უცხოელთა წრეებში მიღებული ცნობების თანახმად, რამდენიმე დღის წინათ ახალი დიდი კონფლიქტი მოხდა უნგრეთის „გერმანელ უმცირესობის" ჰიტლერული ორგანიზაციის ხელმძღვანელებსა და უნგრეთის მთავრობას შორის. ამას წინათ „გერმანელ უმცირესობის" წარმომადგენელთა ჯგუფმა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ბაშის მეთაურობით მოსთხოვა კალაის, რომ მიეღო ისინი მოსალაპარაკებლად „უნგრეთის და განსაკუთრებით ტრანსილვანიის გერმანელ უმცირესობის მდგომარეობის თაობაზე". დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა გამომწვევი ულტიმატური ფორმით, რომ ახალი პრივილეგიები მიენიჭებინათ ტრანსილვანიის გერმანელი მოსახლეობისათვის. ბაშო უნგრეთის მთავრობას დაემუქრა, რომ „გერმანელები თვითონვე დაამყარებენ მათ მიერ მოთხოვნილ ავტონომიას".

იმავე ცნობების თანახმად, გერმანიის აგენტურამ ტრანსილვანიაში ფართოდ გააჩაღა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია. გერმანელ უმცირესობის ხელმძღვანელები აცხადებენ: „მალე ჰიტლერი გამოაცხადებს, რომ ტრანსილვანია გერმანიის პროტექტორატად გადაიქცა, ვინაიდან რუმინელთა და უნგრელთა ჩხუბმა საშიში ხასიათი მიიღო". ამას წინათ ბუდაპეშტში შესდგა უნგრეთისა და რუმინეთის „გერმანელ უმცირესობის" ხელმძღვანელთა ერთობლივი თათბირი. თათბირზე განიხილეს ის საკითხი, რომ ახლო მომავალში ტრანსილვანია გერმანიის პროტექტორატად გადააქციონ.

„ხორცი" და „შაქარი" მერქნიდან

ფრანგი ხალხი „ერზაცებზე" გადადის

სტამბოლი, 1 აგვისტო (საკდესი). იმის გამო, რომ ჰიტლერელების მიერ გაძარცულ საფრანგეთში თანდათან მწვავდება სასურსათო სიძნელეები, ვიშში გაიხსნა ეგრეთწოდებული „საკვები ერზაცების გამომძახველი ცენტრალური ბიურო". ამ ბიუროს სპეციალური კომისია გერმანიაში იყო, რათა შეესწავლა, თუ როგორ არის დაყენებული საკვებ შემცვლელთა წარმოება, განსაკუთრებით კი „ნაძვის მერქნიდან ხორცისა და ხის შაქრის წარმოება".

როგორც კომისიის მეთაურმა პროფესორმა რიშარმა განაცხადა, საფრანგეთის განსაკუთრებით მძიმე სასურსათო მდგომარეობამ ის გამოიწვია, რომ 12 მილიონმა ფრანგმა შიმშილის გამო საშუალოდ თხუთმეტ-თხუთმეტ კილოგრამზე მეტი დაიკლო წონაში.

წყალში ჩაუშვეს ამერიკის ახალი ავიანოსანი

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო (საკდესი). საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წყალში ჩაშვებულია ახალი ავიანოსანი.

პარტიული ცხოვრება

აგიტაცია ღამის ცვლებში

12 აგიტატორი ეწევა აგიტაციას ღამის ცვლებში. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვ საამქროში აგიტაციას თვით საამქროს უფროსი ინჟინერი ნ. ბახტაძე ატარებს. იგი აგიტაციისათვის ყოველთვის წინასწარ ემზადება. გაზეთებიდან შეარჩევს საინტერესო და აქტუალურ მასალებს, ხელთა აქვს საამქროს ყოველდღიური მუშაობის შედეგები, იცის, ვინ ჩამორჩა, ვინ ისახელა თავი და საუბრებს სწორედ ამ საკითხების ირგვლივ ატარებს. პირველი დეკადის გეგმის შესრულებაში საამქროს გარღვევა ჰქონდა, გეგმა მხოლოდ 93,9 პროცენტით შეასრულა. აგიტატორმა ამ საკითხის გარშემო მოახდინა მუშების ყურადღების მობილიზაცია. შრომამ და მონდომებამ შედეგიც გამოიღო: საამქრომ მეორე დეკადის გეგმა 108 პროცენტით შეასრულა.

ივლისის პირველ დეკადაში სამღებრო-საპრეტურო საამქროში (უფროსი ვ. ჩიქოვანი) ქვაბმა კაპიტალური რემონტი მოითხოვა, რამაც სერიოზული შეფერხება გამოიწვია და პირველი დეკადა არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დასრულდა. ეს მოითხოვდა მუშაობის გაძლიერებას. აგიტატორებმა შ. რაზმაძემ, შ. კახიანმა და სხვ. ხელი შეუწყვეს გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას და წარმატებასაც მიაღწიეს.

აგიტატორი რაზმაძე სამღებრო განყოფილების ცვლის ოსტატია. მუშებთან აგიტაციას სამამულო ომის ფრონტზე მომხდარი ამბების გაცნობით იწყებს, გერმანელი ოკუპანტების საშინელ მხეცობაზე საუბრობს, რითაც თითოეულ მუშას ვერაგი მტრისადმი წმინდა სიძულვილის გრძნობას უძლიერებს. აგიტატორი მუშებს ყოველთვის აცნობს დღიური მუშაობის შედეგებს, ვინ დაწინაურდა, ვინ ჩამორჩა, რაში მდგომარეობს ამ ჩამორჩენის მიზეზები და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება. რაზმაძე ამავე დროს სისტემატურად ესაუბრება და ეხმარება წარმოებაში ახალმოსულ მუშებს, აცნობს მათ სამუშაო უბანს, იარაღების ხმარებას. ლ. უხტინოვა და ლ. ჩაინიკოვა სამი თვის წინათ მოვიდნენ ფაბრიკაში. მათთვის ყველაფერი ახალი იყო. რაზმაძის სისტემატური დახმარებით ისინი მალე დაეუფლნენ სამუშაო უბანს და ახლა გეგმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

თავდადებული მუშაობისა და ქმედითი აგიტაციის შედეგად საამქრომ თვიური გეგმა 30 ივლისს გადაჭარბებით შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა 19.700 მეტრი მზა ქსოვილი. კერძოდ, სამღებრო განყოფილების მესამე ცვლამ მეორე დეკადის გეგმა 117 პროცენტით შეასრულა, ხოლო მთლიანად თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას საერთო პროდუქციის გამოშვების ივლისის გეგმა 29 ივლისისათვის გადაჭარბებით ჰქონდა შესრულებული.

აგიტატორები ბოლშევიკური მართალი სიტყვის მგზნებარე იარაღით იბრძვიან გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ღამის ცვლებში აგიტაცია კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და გაფართოვდეს.

მ. კალანდაძე

პარტიული ორგანიზაციების მეტი დახმარება რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). სამამულო ომის დღეებში ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა ხალხის მოსაზრებულობა, გამომგონებლობითი ნიჭი, შემოქმედებითი ინიციატივა. საკმაოდ ბევრი ნიჭიერი, ინიციატივიანი მუშა, ოსტატი, ტექნიკოსი და ინჟინერი ჰყავს მარგანეცის მრეწველობას. საჭიროა კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ და დავეხმაროთ მუშათა ტექნიკურ აზრს, დავეხმაროთ წარმოების ნოვატორებს წინადადებათა განხორციელებაში.

მარგანტრესტში არსებობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურო (უფროსი—ინჟ. ჭანტურია), რომელიც სუსტად მუშაობს. რაციონალიზატორებისა და გამომგონებლებისადმი სათანადო ყურადღებას არ იჩენენ სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა-მაღაროების და მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს პარტიული ორგანიზაციები (პარტბიუროს მდივნები ამხ. მ. მოდებაძე, ვ. თურქაძე, დ. ოტიაშვილი). წარმოების ნოვატორებისათვის არ ტარდება ტექნიკური კონსულტაციები, არ არის შემუშავებული ტექნიკური თემები გამომგონებელთათვის და სხვ. მაშინ როცა აქ ცოტანი როდი არიან რაციონალიზატორები და გამომგონებლები.

მიმდინარე წელს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში განხორციელდა ინჟინრების ქ. ჯინჭველაშვილის და ალ. მოდებაძის წინადადება, რომელიც წლიურად 662.071 მანეთს ზოგავს. ზოგიერთი წინადადება კი განხორციელებას ელის.

მარგანეცის ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება წარმოების ნოვატორებისადმი. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი აზრი უნდა მივმართოთ წარმოების „ვიწრო" ადგილების ლიკვიდაციისაკენ, მათ უნდა იმუშაონ ადგილობრივი რესურსების გამოყენების, საწვავის, მასალების, ნედლეულის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებზე, რადგან მომჭირნეობა ყველგან და ყველაფერში ომიანობის ურყევი კანონია. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა უნდა გაუწიონ წარმოებისა და ტექნიკის ნოვატორებს.

პ. ჭიოკაძე

ოკუპირებულ ქვეყნებში პოლიციურ-ფაშისტური ტერორის ჰიტლერული გეგმა

გერმანელთა საიდუმლო დოკუმენტი „სს" ჯარების ფუნქციების შესახებ

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ლიბიის კამპანიის დროს (1942 წლის მარტი) წამოღებულ იქნა გერმანელთა დოკუმენტი, რომელიც გერმანიის არმიის უმაღლეს სარდლობას დაუგზავნია ჯარის ნაწილებისათვის.

როგორც დოკუმენტიდან სჩანს, ჰიტლერულმა გერმანიამ მიზნად დაისახა განუსაზღვრელი პოლიციური ტერორის მეთოდებით მორჩილებაში იყოლიოს ყველა ოკუპირებული ქვეყნის ხალხები. ამასთან დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „გერმანიის იმპერია თავის საზღვრებში აქცევს არა მარტო იმ ეროვნულ ერთეულებს, რომელნიც კარგად არიან განწყობილნი გერმანიის იმპერიის მიმართ; ამიტომ საჭიროა როგორც თანამედროვე გერმანიის იმპერიის საზღვრებს გარეთ, ისე მის საზღვრებში ვიყოლიოთ სახელმწიფო პოლიციის ჯარები, რომელთაც შეეძლებათ ყოველგვარ გარემოებაში განამტკიცონ და დაამყარონ გერმანიის იმპერიის შინაგანი ძალაუფლება".

„ამ ამოცანის შესრულება,—ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში,—შეეძლება მხოლოდ გერმანული სისხლის იმ საუკეთესო ადამიანებისაგან შედგენილ სახელმწიფო პოლიციას, რომელნიც უყოყმანოდ აიგივებენ თავიანთ თავს საარსებო ფილოსოფიასთან, რაც გერმანიის იმპერიის საფუძველს წარმოადგენს. ასეთი ადამიანებისაგან შედგენილ პოლიციურ ნაწილებს შეეძლებათ კრიტიკულ მომენტში იბრძოლონ ყოველგვარი გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ. ასეთი ჯარები თავიანთი წარმოშობის სიწმინდით იამაყებენ და ამიტომ მათ არასოდეს არ ექნებათ ურთიერთობა პროლეტარიატთან, რომელიც ძირს უთხრის ძირითად იდეას" (ესე-იგი ჰიტლერელთა ბატონობას).

დოკუმენტი შეიცავს იმის აღიარებას, რომ ჰიტლერის მთავრობა არ ენდობა გერმანიის არმიის უნარს—დათრგუნოს აჯანყებანი ოკუპირებულ ქვეყნებში.

„მომავალში უკვე აღარ შეიძლება იმის შეწყნარება,—ნათქვამია დოკუმენტში,—რომ სამხედრო ბეგარის საფუძველზე ჩამოყალიბებული გერმანიის შეიარაღებული ძალები შინაგანი კრიზისის მომენტში თავიანთ თვისტომთა წინააღმდეგ ოპერაციებში მონაწილეობას მისაღებად გაიგზავნონ. ასეთი ნაბიჯი იქნებოდა დასაწყისი იმ სახელმწიფოს აღსასრულისა, რომელიც იძულებულია ამ ღონისძიებებს მიმართოს, და იგი ამრიგად, დაჰკარგავდა იმის უნარს, რომ თავისი შეიარაღებული ძალები გარეშე მტრის წინააღმდეგ მიემართა, ამით უარს იტყოდა ჩვენს ისტორიულ ტრადიციებზე და სამწუხარო მაგალითებს შექმნიდა".

ამიტომ, როგორც დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, ის ძალა, რომლის საშუალებითაც გერმანიის ბატონობა უნდა იქნას დაცული ოკუპირებულ ქვეყნებში, მხოლოდ პოლიციის „სს" ჯარები უნდა იყოს.

ამრიგად, მოყვანილი დოკუმენტი აშკარავებს ჰიტლერელთა გეგმებს, რომელთაც მიზნად დაისახეს პოლიციურ-ფაშისტური ტერორისა და ჩაგვრის სისხლიანი რეჟიმი დაამყარონ ფაშისტური გერმანიის მიერ დამონებულ ქვეყნებში.

ლონდონი, 31 ივლისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გერმანელთა საიდუმლო დოკუმენტი „სს" ჯარების ფუნქციების შესახებ", რომელიც წამოღებულ იქნა ლიბიის კამპანიის დროს, იმას მოწმობს, რომ გერმანიას განზრახვა აქვს გესტაპოს ტერორი დაამყაროს მთელ მსოფლიოში. ჰიტლერს სურს ტერორისტული პოლიციის დახმარებით დაამყაროს ჰიტლერიზმის ბატონობა. ჰიტლერმა ნათლად განსაზღვრა „სს" ჯარების ეს ფუნქცია—მუდამ მორჩილებაში იყოლიონ გერმანიის მიერ დამორჩილებული ხალხები.

შემდეგ ინფორმაციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ხსენებული დოკუმენტი გერმანიის არმიის გენერლებს დაეგზავნათ 1940 წლის 6 აგვისტოს. „სს" ჯარების რიცხვისა და მათი ძალაუფლების მნიშვნელოვანი გადიდება, რაც ამის შემდეგ მოხდა, იმას გვიჩვენებს, რომ „ფიურერის" მითითებები მეთოდურად სრულდებოდა. ბრაუხიჩის გადაყენების შემდეგ ჰიტლერი თავის სიტყვებსა და ბრძანებებში ხაზგასმით აღნიშნავდა განსხვავებას არმიასა და „სს" ნაწილებს შორის და ახასიათებდა „სს" ნაწილებს, როგორც თავის საკუთარ „საგანგებო" ჯარებს.

გარდა ამისა, „სს" საგანგებო ნაწილები ჰოლანდიასა და ნორვეგიაში შეიქმნა იმ პოლიციურ-ტერორისტული ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც მოხსენიებულია კომენტირებულ დოკუმენტში. „სს" ჯარები იმ საპოლიციო ძალების მთავარი ნაწილი გახდნენ, რომლებსაც სათავეში უდგას ჰიმლერი.

ლექციები და მოხსენებები

3 აგვისტოს, საღამოს 8½ საათზე, საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. № 5) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია. თემა: **„დიდი სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".**

შესვლა თავისუფალია.

საქალაქო აგიტპუნქტში

3 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მეცადინეობა. თემა: **„ბოლშევიკების პარტია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის (1917-1918 წ.) მომზადებისა და გატარების პერიოდში".**

„მკაცრი დროება"

ორშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე „კომუნისტის" რედაქცია აწყობს ი. ვსევოლოჟსკისა და დ. რუდნევის პიესა „მკაცრი დროების" საჯარო განხილვას. დასწრება თავისუფალია.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

მუსიკალური კომედიის — 2 აგვისტოს — „საქორწინო მოგზაურობა", 4 აგვისტოს — „როზ-მარი", 5 აგვისტოს — „სილვა". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — 2 აგვისტოს — **დიდი კონცერტი ვასო გოძიაშვილისა და ლადო კავსაძის მონაწილეობით.**

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და **კომკავშირელი** (საზაფხულო და ზამთრის) — „საბრძოლო კინოკრებული № 10". **ოქტომბერი** — „მეხუთე ოკეანე". **დამკვრელი** (საზაფხულო) — „ჩემი სიყვარული". **დამკვრელი** (ზამთრის) — „არსენა". **სპარტაკი** — „უკანასკნელი ბანაკი". **26 კომ. სახ.** და **კომინტერნი** — „ჯადოსნური მარცვალი". **მეცნიერება** და **ცოდნა** — „ოპენჰეიმის ოჯახი".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **გ. ჯიბლაძე**

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაკები იუწყებიან ამხ. ილია და რაისა მირცხულავების შვილის პატარა

ციურის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/VIII, სოფ. პირველ ხორგაში (ხობის რაიონი). 977

საქ. ხორცის მრეწველობის ტრესტის და საფირმო მაღაზიის ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან შალვა მესხის ძმის

მიხეილ (კუკულია) პროკოფის-ძე **მესხის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მაიაკოვსკში, 4/VIII. 978

თბილისის 98-ე საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან მასწავლებელ

ნადია პავლეს-ასულ ქაპანაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 4/VIII, 6 ს. ყიფიანის ქ. № 25. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 975

თბილისის პურის № 3 ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ამავე ქარხნის მთავარი ინჟინრის თედო მაღრაძის მამის

ილია ლევანის-ძე მაღრაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბორჯომში, 2/VIII. 976

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5994